MES 4 21 0000459701

19/05/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 23.04.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 22:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია - I, IV, V
სხდომის მდივანი:მაკა კაჭარავა - II ,III

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კველვების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

6. ელენე ჟურავლიოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. ნინოჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. ნზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშრისო ურთიერთობების ხელმძღანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
12. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
16. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
17. თეონამატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
18. მაკაკაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
19. ნინოინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი

1	დიმიტრი ჯაფარიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	I
2	ნანა დიხამინჯია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ვიცე რექტორი ინოვაციების და მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით, პროფესორი, ABET კოორდინატორი	I
3	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	მიხეილ თუთბერიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
5	შოთა ცისკარიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
6	ვახტანგ ბალავაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	I
7	ნინო ქიმერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	II - III
8	ნინო გოგაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სტაჟიორ-სპეციალისტი, განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი	II – III
9	რამაზ ხომერიკი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	II – III

10	თამარ ჭელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II – III
11	გია სირბილაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II – III
12	ალექსანდრე გამყრელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II – III
13	ირინე ხუციშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი	II – III
14	ნინო ტალიაშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	რექტორი	IV
15	სოფიო ხუნდაძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	IV
16	თათია დოლიძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
17	ლევან მესხორაძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	IV
18	ელენე ჩოქური	შპს ევროპის უნივერსიტეტი	სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	IV
19	მარიამ ბოჭორიშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	IV
20	გიორგი გობრონიძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი.	IV

21	კახაბერ კორძაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	V
22	მარინა გედევანიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
23	ლელა წიტაიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ია მოსაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ ღუღუნაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
6	ზურაბ ბოსიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
7	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
8	ნინო სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
9	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	ფიქრია ასანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	გვანცა ძიძგური	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ნინო კორსანტია	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^{2}-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანმა

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^{2}-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^{5}-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიტერული მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიტერული მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროგრამული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 2 აგვისტოს N300 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	პროგრამული ინჟინერია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	პროგრამული ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0162, ქ. თბილისი ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლიოვამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის „პროგრამული ინჟინერია“ შეფასება განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა ელექტრონული ფორმატით 2021 წლის 12 თებერვალს. შეხვედრები გაიმართა უნივერიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულეთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ სამაგისტრო ნაშრომებს. ონლაინ რეჟიმში იქნა დათვალიერებული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადამოწმდა ბიბლიოთეკის რესურსები. შეხვედრების დასასრულს, ექსპერტებმა ძირითადი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს. მთლიანობაში ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ გარემოში.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, შემუშავდეს „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სრულყოფილი დეტალური გეგმა უნივერსიტეტში მოქმედი დებულებების შესაბამისად;
2. რეკომენდებულია, პროგრამის შემუშავებაში/მოდიფიცირებაში უშუალოდ იყვნენ ჩართული სტუდენტები და კურსდამთავრებულები;
3. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა იყოს ღია და წვდომადი სტუდენტებისათვის;
4. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურა იყოს დაცული;
5. რეკომენდებულია, სამაგისტრო თემის შერჩევის პროცედურა გაიწეროს ცხადად;
6. რეკომენდირებულია, გამოცდის ჩატარების პროცესში დაცული იყოს ანონიმურობის პრინციპი და სტუდენტთა იდენტიფიცირება არ მოხდეს საგამოცდო ნამუშევრის შემოწმებისას;
7. რეკომენდირებულია, პლაგიატზე ნაშრომის შემოწმებისას სტუდენტებს ჰქონდეთ დამოუკიდებლად საცდელი ვერსიის ატვირთვის შესაძლებლობა პლაგიატის პროგრამაში;
8. რეკომენდირებულია, სტუდენტებს ჩაუტარდეთ გაცნობითი შეხვედრა, რომელიც მიაწოდებს ინფორმაციას არსებული სერვისების შესახებ, გააცნობენ სტუდენტთა შეფასების წესსა და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციას;

9. რეკომენდებულია, შემუშავდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების პოლიტიკა ტრენინგებში მონაწილეობისათვის;
10. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამა „პროგრამული ინჟინერია“ ფორმალური წესებით სრულად შეესაბამება ამ მეთოდოლოგიებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში მეტნაკლებად იყო ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, არ ყოფილა სტუდენტთა ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, როგორც თვითშეფასების ჯგუფის მიერ, ასევე სტუდენტთა მიერ. მისი თქმით, უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა გამოკითხვებს და ამ გამოკითხვების შედეგების შესაბამისად ახორციელებს პროგრამაში შესაბამის ცვლილებებს. მისი თქმით, დამსაქმებლები იცნობენ პროგრამას და გამოიკვეთა მათი აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავებისას, კერძოდ, პროგრამის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგების შემუშავება, რაც შემდომ გამოყენებული იქნა პროგრამის შემუშავებაში. ასევე, გათვალისწინებულ იქნა დარგში არსებული მიღწევები და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებები.
მნიშვნელოვანი საკითხია, რომ სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა სტუდენტებს მიეწოდებათ უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ. მათი შერჩევის პროცედურა ბუნდოვანია. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა მკაცრად უნდა იყოს დაცული სტუდენტის მიერ, რაც მათ დეტალურად უნდა გააცნონ. სამაგისტრო ნაშრომის შემუშავება და გაფორმებასთან დაკავშირებით წესები გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, თუმცა არის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია სამაგისტრო თემის შერჩევის პროცედურასთან, რაც საჭიროებს მეტ სიცხადეს. არსებული პროცედურებიდან არ ჩანს სად, როდის და როგორ ირჩევენ სტუდენტები სამაგისტრო თემებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ თავიანთ ხელმძღვანელებთან. ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს, რომ იღებენ საჭირო მასალებსა და ინფორმაციებს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნეს ხელმძღვანელების მხრიდან მზაობა ნებისმიერ დროს გაუწიონ შესაბამისი დახმარება. სემესტრის ბოლოს ტარდება გამოკითხვა იმის შესახებ თუ რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები გავლილი სასწავლო კურსით, სადაც შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი შეხედულებები ანონიმურად. სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტი.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული ინჟინერია“ სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს; აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. წარმოდგენილი სასწავლო კურსები არის თანამედროვე და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. როგორც გასაუბრებიდან იკვეთება, სასწავლო კურსების შინაარსი შედგენილია უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური კურსების შესაბამისად და ამავდროულად, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით. სილაბუსების ავტორები, რომელთა უმრავლესობას აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, ადასტურებს, რომ შემუშავებული სასწავლო კურსები მოარგეს დღევანდელ მოთხოვნებს. ასევე, თანამედროვეა მითითებული ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული სტუდენტისათვის, როგორც უშუალოდ ბიბლიოთეკაში, ასევე ონლაინ რეჟიმში. უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, რომ სილაბუსებში გამოყენებულია ბევრი ინგლისურენოვანი ტერმინი, რაც შესაძლებელია

ყოფილიყო წარმოდგენილი ქართულადაც იგივე ტენდენცია შეიმჩნევა სამაგისტრო ნაშრომებში. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს და ასევე დასტურდება გასაუბრებით, სამაგისტრო ნაშრომს ენობრივი თვალსაზრისით შეფასებას უკეთებს რეცენზენტი, თუმცა კარგი იქნება თუ მისი შემოწმება მოხდება ხელმძღვანელის მიერაც.
რაც შეეხება 2.4 კომპონენტს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა „პროგრამული ინჟინერია“ საფუძვლიანად განსხვავდება იგივე დასახელების წინა პროგრამისაგან. მასში გათვალისწინებულია დარგის მოთხოვნები და პრაქტიკულ უნარებზეა ორიენტირებული, რასაც უზრუნველყოფს ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია და მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია უნივერსიტეტში არსებულ სხვა მატერიალურ - ტექნიკურ ბაზასთან ერთად. სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით პროგრამის განხორციელებაში ჩართული მაღალი კლასის მეცნიერები უზრუნველყოფენ სტუდენტთა ხელმძღვანელობას და მათ ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით გრანტებში. წარმოდგენილ პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთაგან ერთი სამეცნიერო მიმართულებით გეგმავს გააძლიეროს მუშაობა, რაც გამოიკვეთა ინტერვიუების დროს. სტატისტიკური მონაცემებით სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო, კვლევით პროექტებში, ამ პროგრამის სტუდენტები არ გამოირჩევიან, თუმცა არსებული რესურსი, რომელიც უნივერსიტეტმა აღნიშნული პროგრამისთვის შეკრიბა, იძლევა სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარების შესაძლებლობას. უნივერსიტეტის გამოცდილება ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში დადებითი დინამიკით გამოირჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია რელევანტური სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტების საერთო რაოდენობის მინიმუმ 60%-ი მიიღებს მინიმუმ B შეფასებას. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ინდიკატორად განიხილება სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ახდენენ პროგრამაზე სწავლის განმავლობაში შეძენილი ცოდნისა და უნარების დემონსტრირებას, რომელიც ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული ციკლის დასასრულს, შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ პროგრამით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი/კომპეტენცია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ითვალისწინებს და ეყრდნობა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს და ეფუძნება სსიპ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს. შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტების შეფასებას და მიიჩნევს რომ აღნიშნული რეკომენდაცია მოიცავს ფაქტობრივ უზუსტობას.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო სწავლა-სწავლების პროცესისათვის რელევანტური ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ამასთან, მიღებული შედეგები და უკუკავშირი გამოყენებული იყო პროგრამის განახლებისა და გაუმჯობესების მიზნებისთვის. კერძოდ, თვითშეფასების ჯგუფმა განიხილა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სწავლა-სწავლების პროცესისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობების შესახებ, რის საფუძველზეც გადაიხედა და განახლდა სასწავლო პროგრამის როგორც შინაარსობრივი, ასევე, ადმინისტრირების მხარე. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამა მეტად გახდა ორიენტირებული სტუდენტთა ინტერესებზე, პროგრამის ცალკეულ სასწავლო კომპონენტებში მოხდა პრაქტიკული ხასიათის

პროექტების/დავალებების ინტეგრირება, ხოლო განახლებული სამაგისტრო ნაშრომის მოდელი და კონცეფცია უზრუნველყოფს სტუდენტთათვის როგორც პრაქტიკული, ასევე, კვლევითი უნარების განვითარებას. შესაბამისად, დაწესებულებას მიაჩნია, რომ რეკომენდაცია მოიცავს ფაქტობრივ უზუსტობას, რადგან პროგრამის შემუშავების პროცესი ითვალისწინებდა სტუდენტების და კურსდამთავრებულების უკუკავშირის მიღებას და მის გათვალისწინებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშრებით და აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებისა და სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელების ჩართულობით, პროგრამის პარტნიორ ორგანიზაციებთან ან უშუალოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციის შედეგად განისაზღვრება საკვლევი თემატიკა, საიდანაც სტუდენტი შეარჩევს საკითხს, რომელზეც სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სურს მუშაობა. ამავდროულად, სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს ორგანიზაცია, რომელთანაც განიხილავს თანამშრომლობის ფორმატს და რომლის მიერ ინიცირებულ საკვლევ საკითხს დაამუშავებს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში. საკვლევი თემატიკისა და ხელმძღვანელის შერჩევის პროცესში სტუდენტს შეუძლია გაეცნოს სამაგისტრო ნაშრომის პოტენციური ხელმძღვანელების კვლევის სფეროებსა და ინტერესებს, რის შესახებ ინფორმაციაც თავსდება ფაკულტეტის ვებგვერდზე და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემაში - "არგუსი". ამავე სისტემაში, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა ნაშრომის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციის/ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულისა და სამაგისტრო ნაშრომის პროექტის ხელმძღვანელის მითითებით. შესაბამისად დაწესებულება არც მოცემულ რეკომენდაციას ეთნხმება.
რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, სამაგისტრო ნაშრომის სათანადო სტრუქტურირების მიზნით, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში დეტალურადაა გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, რომელიც სრულ თანხვედრაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მოთხოვნებთან და სწორედ აღნიშნულთან შესაბამისობაში უნდა იყოს შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის ფარგლებში სავალდებულო კურსად არის შეთავაზებული აკადემიური წერის კურსი, რომელიც არგუმენტირებული, ანალიტიკური და კრიტიკული წერის უნარების განვითარების გარდა, ემსახურება სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი სტრუქტურული ნაწილების/კომპონენტების შესწავლას და უზრუნველყოფს სტუდენტებში სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტების დაცვის მნიშვნელობის გაცნობიერებას.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, ექსპერტების მიერ წაყენებული მოთხოვნა გამოცდების ანონიმურობასთან დაკავშირებით არ ეფუძნება რომელიმე გარე თუ შიდა რეგულაციას, შესაბამისად, დაწესებუელბა არ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას და ფიქრობს,, რომ ის შეიძლება ატარებდეს მხოლოდ რჩევით ხასიათს.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის პირველად ვერსიას E-Learning პლატფორმაზე ტვირთავს არაუგვიანეს მე-13 კვირისა, სადაც ხელმძღვანელი პროგრამა Turnitin-ის საშუალებით ნაშრომს ამოწმებს პლაგიატზე და სტუდენტს აძლევს რეკომენდაციებს ნაშრომის შინაარსობრივი და ტექნიკური კუთხით გასამართად. ხელმძღვანელის უკუკავშირის შედეგად რედაქტირებული ნაშრომის დასრულებულ ვარიანტს სტუდენტი განმეორებით ტვირთავს იმავე პლატფორმაზე არაუგვიანეს მე-15 კვირის დასასრულისა და წარადგენს ფაკულტეტზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტების რეკომენდაციას და მიიჩნევს რომ ის შეიძლება ატარებდეს მხოლოდ რჩევით ხასიათს.
მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და სხვადასხვა მხარდაჭერის სერვისთან დაკავშირებული საკითხების უწყვეტი საკონსულტაციო ციკლი უზრუნველყოფილია როგორც პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის

განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე, პროგრამის კოორდინატორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის და საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ. მნიშვნელოვანია ამ პროცესში არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემის - "არგუსის" როლი, რომელიც ერთის მხრივ, იძლევა საშუალებას მუდმივ რეჟიმში დამყარდეს კომუნიკაცია როგორც სტუდენტსა და ლექტორს, ასევე, სტუდენტსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის, ხოლო მეორეს მრივ, სტუდენტსთვის, კურსზე რეგისტრაციისას, ხელმისაწვდომს ხდის კურსის სილაბუსსა თუ კონცეფციას, მათ შორის შეფასების ძირითადი კომპონენტებისა და კრიტერიუმების/რუბრიკების გაცნობის მიზნით. ამავდროულად, თითოეული სასწავლო კურსის პირველი კვირა კურსის მიზნისა და თემატიკის მიმოხილვასთან ერთად, ეთმობა სტუდენტთათვის კურსის განხორციელების ძირითადი ასპექტებისა და შეფასების სისტემის გაცნობას. უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, დაწესებულებას მიაჩინა, რომ ექსპერტების რეკომენდაცია შეიძლება ატარებდეს მხოლოდ რჩევით ხასიათს.

რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა საქართველოში პირველი საუნივერსიტეტო გამოთვლითი ცენტრი, რომლის მთავარი დანიშნულებაა სასწავლო პროცესის ხელშეწყობა და სამეცნიერო კვლევით საქმიანობის მხარდაჭერაა. გამოთვლითი ცენტრი მიზნად ისახავს ჩაერთოს საერთო სამეცნიერო-გამოთვლით ქსელში, რაც სტუდენტებისთვის შექმნის დამატებით რესურსებთან წვდომისა და საინტერესო კვლევით ამოცანებში/პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას, განუვითარებს მათ პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული და ფუნდამენტური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და სამეცნიერო-კვლევით უნარებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა 4.2 კომპონენტთან მიმართებით არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის შესაბამისად, სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის შეფასების შედეგების საფუძველზე ხდება სხვადასხვა ხელშემწყობი სერვისების შეთავაზება, მათ შორის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული ტრენინგ-მოდულების. აღნიშნული ტრენინგები ტარდება პერიოდულად და სწავლების პროცესში ჩართულ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს მათში მონაწილეობის მიღების შესაძლელობა. აქვე გაცნობებებთ, რომ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სერვისების/ტრენინგების შექმნის და მათით დაინტერესების გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი სისტემურად ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევას, რომელიც ემსახურება მათ შორის აღნიშნული პერსონალის საჭიროებების განსაზღვრას პროფესიული განვითარების კუთხით. ბოლო ორი წლის განმავლობაში ცენტრის მიერ შეთავაზებულ ტრენინგ-მოდულებში, რომლებიც ორიენტირებულია სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების დაუფლებაზე, მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით, გადამზადდა 400ზე მეტი სწავლებაში ჩართული პერსონალი. მიმდინარე წელს აღნიშნული ცენტრის მიერ, უცხოელი პარტნიორების ჩართულობით, შემუშავდა ახალი ტრენინგ-მოდულები, რომლებიც ორიენტირებულია ონლაინ სწავლების ეფექტურ მეთოდებსა და მიდგომებზე. მიმდინარე ტრენინგში ამ დროისთვის მონაწილეობა მიიღო 16 პროფესორ-მასწავლებელმა, რომელთაგან 6 არის ცენტრის ტრენერი, რომლებიც მომდევნო თვეებში ჩაატარებენ აღნიშნულ ტრენინგმოდულებს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიჩნია, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია შეიძლება ატარებდეს მხოლოდ რჩევით ხასიათს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა ექსპერტებს და მოუწოდა იმ რჩევების განმარტებისკენ, რომლებიც გულისხმობს, პროგრამაში კვლევითი საგნების დამატებას. მისი

თქმით, სამაგისტრო პროგრამა თავისი შინაარსით არის კვლევითი ხასიათის, შესაბამისად, თუ კვლევითი საგნების ნაკლებობაა მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მისანიჭებელი კვალიფიკაციაც, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კი არანაირი ხარვეზია დაფიქსირებული.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა სამაგისტრო კონცეფციის საკითხი. პროგეამის მიხედვით, სამაგისტრო პროგრამასა და სამაგისტო ნაშრომს ცალ-ცალკე შეფასებების აქვს მინიჭებული, თუმცა პროექტი პროგრამაში ცალკე არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა ინტეგრირებული არის თუ არა გეგმა ნაშრომში და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტების გაკეთებისკენ.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი გათვლილია მხოლოდ 30 სტუდენტზე, შესაბამისად ის დაინტერესდა, თუ რითი არის დაცული პროგრამის ფინანსური მდგრადობა. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, მისი თქმით, პროგრამის ფრაგლებში არ არის წარმოდგენილი ბაზრის კვლევა, თუმცა დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დამსაქმებლების კვლევა, რომელთა 0.3 პროცენტს წარმოადგენენ პროგრამის კუსრდამთავრებულები, რაც მისი თქმით, არ შეიძლება ჩაითვალოს ვალიდურად.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ ისაუბრა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროგრამის შემუშავებაში ჩართულობის საკითხთან დაკავშირებით და დაინტერესდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაციას ექსპერტებმა რატომ არ მისცეს რჩევის სახე. ასევე, სტუდენტის ანონიმურობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ თვითშეფასების მიხედვით წინა წელს პროგრამაზე სულ 10 სტუდენტი იყო ჩარიხცული, შესაბამისად 10 სტუდენტის საგამოცდო ცენტრში გაშვება და ანონიმურობის დაცვა ხშირ შემთხვევაში არ ხდება. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა ვიზიტის დროს გამოხატეს თუ არა პრეტენზია სტუდენტებმა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, თუ აღნიშნული მხოლოდ სტუდენტი ექპსერტის პირად მოსაზრებას წარმოადგენდა. პლაგიატის საკითხთან დაკავშირებით თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, სტუდენტები თავად ტვირთავენ ნაშრომებს შესამოწმებლად, რა თქმა უნდა ხედვაც ექნებათ დამთხვევასთან დაკავშრებით, თუმცა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მათ არ შეუძლიათ განახორციელონ ცვლილებები. აღსანიშნავია ასევე თავად სამაგისტრო ნაშრომების საკითხი, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მითითებული ლიტერატურა იყოს მხოლოდ სამი.
საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, სამაგისტო ნაშრომი ინდივიდუალურად მზადდებოდა თუ ჯგუფურად და თუ ჯგუფურად როგორ ხდებოდა ინდივიდუალურად თითოეული სტუდენტის შეფასება.
საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ სთხოვა ექსპერტებს განემარტათ მე-4 რეკომენდაცია. ასევე აღნიშნა, რომ დიდი რაოდენობით კოდის მითითება არ არის სავალდებულო.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ დადებიდათ შეაფასა ის, რომ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში იქნმნება რეალური პროდუქტი, ის დაინტერესდა რა პროპორცია არის დასაშვები სამაგისტრო ნაშრომის თეორიულ ნაწილსა და კოდს შორის.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ სთხოვა ექსპერტებს განემარტათ სწავლის შეფასების გეგმა. ასევე ის დაინტერესდა, სამაგისტრო ნაშრომი მოიცავდა განვლილ მთელ მასალას თუ კონკრეტულად ერთ საკითხს.
საბჭოს წევრი, ნინო იმნაძე დაინტერესდა, თუ რა ფორმით იყო წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 8 სამაგისტრო ნაშრომს. რაც შეეხება სტუდენტთა და კუსრდამთავრებულთა ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში, მნიშნელოვანია, რომ აღნიშნულს ცალსახად ითხოვს სტანდარტი, რამაც განაპირობა საკითხის რეკომენდაციის სახით განსაზღვრა.

მნიშვნელოვანია ასევე სამაგისტრო ნაშრომში მითითებული ლიტერატურის საკითხი. სწორედ მოცემულმა საკითხებმა განაპირობეს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული რეკომენდაციების განსაზღვრა, რადგან არსებობდა რიგი ნაკლოვანებები.
რაც შეეხება რეკომენდაციას ნაშრომის სტრუქტურაზე, წარმოდგენილი ნაშრომების ნაწილი ძირითადად გაჯერებული იყო პროგრამული კოდით, რამაც განაპირობა რეკომენდაციის განსაზღვრა. ნაშრომების დიდი ნაწილი როგორც აღინიშნა ეთმობა კოდს, რაც თავისთავად პრაქტიკულ ნაწილს წარმოადგენს.
ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ უნივერისტეტს წარმოდგენილი აქვს სწვალის შედეგების შეფასების საკმაოდ დეტალური მექანიზმი, თუმცა კონკრეტულად მოცემული პროგრამისთვის ვიზიტის დროს აღნიშნულის მექანიზმი არ იყო წარმოდგენილი, რამაც განაპირობა რეკომენდაციის განსაზღრა.
ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ 2.6 კომპონენტის მიხედვით, სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად რაც სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. შესაბამისად თუ არ იქნება ანონიმურობა დაცული, როგორგ გავა დაწესებულება კონკრეტულად ამ სწავლის შედეგზე. რეკომენდაციის განსაზღვრისას გამოყენებული იყო სხვა უნივერსიტეტების პრაქტიკაც.
რაც შეეხება პლაგიატის საკითხს, აღსანიშნავია, რომ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თვითონ ატვირთოს ნაშრომი, თუმცა პროგრამა იძლევა დამთხვევის განსაზღვრის შესაძლებლობას, რომელსაც ხდავს მხოლოდ ხელმძღანელი და შემდგე აწვდის სტუდენტს ინფორმაციას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის კონცეფციის მიხდვით, თუ დადგინდა პლაგიატი და ხელმძღვანელმა ამის შესახებ გასცა რეკომენდაცია, სტუდენტს უუქმდება ყველა არსებული კრედიტები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტუდენტი თვითონაც ხედავდეს თუ რა სახის დამთხვევა არის სახეზე.
საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ მნიშნელოვანია ინდივიდუალურად შეფასდეს კოდი, თუ როგორ არის აღნიშნული დაწერილი და მეორე, რამდენად სსერიოზული პრობლემაა შეფასების ნაწილი და რამდენად სწრაფად შეიძლება მისი გამოსწორება.
ექსპერტმა განმარტა, რომ 8 ნაშრომის შემოწმებისას არ მომხდარა კოდის საკმაოდ დეტალური განხილვა, შესაბამისად შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ როგორ იმუშავებდა კოდი. თუმცა კოდი რაოდენობრივად საკმაოდ აჭარბებდა მოთხოვნას. ნაშრომებს აკლდა აღწერილობითი ნაწლი. სამაგისტრო ნაშრომის შედეგი, კოდის სახით არსებობს, თუმცა დარღვეულია სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა იმ კუთხით, რომ აკლია აღწერილობითი ნაწილი. ასევე აღსანიშნავია გამოყენებული ლიტერატურის სიმცირე, თუმცა აღნიშნული არ იყო პრობლემური ყველა ნაშრომში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სრულდება ინდივიდუალურად და თითოეულ სტუდენტს ჰყავს ერთი ხელმძღვანელი. ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, თუმცა ნაშრომის ფასდება სხვადსხვა მონაწილის მხრიდან, რეცენზენტის, დაცვის კომისიისა და ხელმძღვანელის მხრიდან. ხელმძღანელი ნაშრომთან ერთად ასევე აფასებს პროცესს. აღნიშნული ხორციელდება საგამოცდო პერიოდში.
რაც შეეხება ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების საკითხს, დაწესებულების პოლიტიკიდან გამომდინარე, სტუდენტმა ჯერ უნდა ისწავლოს, ხოლო შემდგომ უნდა მოხდეს შეფასება. პროგრამის ფარგლებში პორველივე კურსიდან ისწავლება პლაგიატი. უნივერსიტეტს ასევე აქვს შემუშავებული შესაბამისი სახელმძღვანელო. თუკი ეჭვი დგება, რომ შესაძლებელია არსებობდეს რაიმე მსგავსება და ნაშრომი არ არის სწორად ციტირებული, ნაშრომი უბრუნდება სტუდენტს. პლაგიატის დადგენა პროგრამის საფუძველზე არ ხდება. მნიშვნელოვანია, რომ რეაკრედიტაცის ფარგლებში შეიცვალა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, კერძოდ არსებობს გარე დამკვეთი, რომლისთვისაც კეთდება კონკრეტული პროდუქტი.

ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი არის პროგრამული, რაც გულისხმობს ბიუჯეტის ვადის ორწლიან ციკლს. რაც შეეხება ბიუჯეტის მდგრადობას, დაწესებულებას არ აქვს აქცენტი გაკეთებული კომერციულ ეფექტიანობაზე. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია უფრო ხარჯთაღრიცხვის მოდელი ვიდრე კლასიკური ბიუჯეტის.
მნიშვნელოვანია ასევე შრომის ბაზრის კვლევის საკითხი, ამ ეტაპზე შრომის ბაზართან მიმართებით აუცილებელია დაწესებულებამ დააკმაყოფილოს პარტნიორი ორგანიზაციების მოთხოვნები.
დაწესებულების წარმომადგენელმა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება უწყვეტ რეჟიმში ცდილობს ნაშრომების დახვეწასა და ხარისხის განვითარებას. პროგრამის ფარგლებში დაემატა აკადემიური წერის სავალდებულო სასწავლო კურსი.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის პროდუქტი მნიშვბელოვანია თუმცა აუცილებელია ასევე კვლევითი ნაწილი, რაც სამაგისტრო საფეხურის ძირითადი დანიშნულებაა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 17:14

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა, განახორციელა შემდეგი სახის ცვლილებები, კერძოდ, ამოიღო ექსპერტების მიერ გაცემული 3 რეკომენდაცია, 2 რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, დამატა ერთი რეკომენდაცია და 2 რჩევა და ასევე ფორმულირება შეუცვალა ერთ რეკომენდაციას.
საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, პროგრამის შემუშავებაში/მოდიფიცირებაში უშუალოდ იყვნენ ჩართული სტუდენტები და კურსდამთავრებულები;
2. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესის შესრულების მონიტორინგის განხორციელება;
3. რეკომენდებულია, სამაგისტრო თემის შერჩევის პროცედურა გაიწეროს ცხადად;
4. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომებში კვლევითი კომპონენტის აღწერის წარმოჩენა;
5. რეკომენდებულია, შემუშავდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების პოლიტიკა ტრენინგებში მონაწილეობისათვის;
6. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში.

რჩევები:
1. სასურველია, შემუშავდეს „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სრულყოფილი დეტალური გეგმა უნივერსიტეტში მოქმედი დებულებების შესაბამისად;
2. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის სისტემატიზაცია და გაფართოება.
3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს ინფორმაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების შესახებ.

4. სასურველია, სტუდენტებს ჩაუტარდეთ გაცნობითი შეხვედრა, რომელიც მიაწოდებს ინფორმაციას არსებული სერვისების შესახებ, გააცნობენ სტუდენტთა შეფასების წესსა და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციას;
5. პროგრამული ბიუჯეტი შემუშავდეს დეტალურად შესაბამისი მუხლების მიხედვით.
6. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს ინფორმაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების შესახებ;
7. სასურველია, დაემატოს კვლევაზე ორიენტირებული საგნები, თუნდაც არჩევით ბლოკში;
8. სასურველია, დაემატოს დარგის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული საგანი (ან თუნდაც სხვადახვა საგნებში ამ თემატიკის საკითხები);
9. სასურველი იქნება, თუ პროგრამასა და სილაბუსებში შეძლებისდაგვარად გამოყენებული იქნება ტერმინები ქართულ ენაზე;
10. სასურველია სამაგისტრო ნაშრომები შემოწმდეს ხელმძღვანელის მიერ ენობრივი თვალსაზრისითაც;
11. სასურველია აქტიურ პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მექანიზმის შემუშავება;
12. სასურველია, სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვა, მაგალითად თვითშეფასების ჯგუფი შედგებოდეს ასევე სტუდენტი წევრისგან;
13. სასურველია კურსდამთავრებულებთან კავშირის გაძლიერება მათთვის სხვადასხვა პროექტების და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 11 ივლისის N186 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1086, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №13, თსუ მე-11 კორპუსი,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტროსადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 11 ივლისის N194 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	35
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1086, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №13, თსუ მე-11 კორპუსი,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადეს გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და თეონა მატარაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ვინაიდან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა თანმიმდევრობის დაცვით, შესვენების გარეშე განეხილათ ორივე პროგრამა ორივე პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებითაც ემსჯელათ ერთი შესვენების ფარგლებში.

საბჭოს სხდომა დატოვა მარიამ შენგელიამ, რის გამოც აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე - 4 პუნქტის მიხედვით, საბჭოს სხდომის მდივნად განისაზღვრა მაკა კაჭარავა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ ანა ფირცხალაშვილი და თამარ ჩხეიძე

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 28-29 იანვარს. 27 იანვარს განხორციელდა წინა სააკრედიტაციო შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება. 2021 წლის 28 იანვარს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან. შეხვედრები გაგრძელდა მეორე დღეს - 29 იანვარს, სადაც განხორციელდა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრება. ასევე ონლაინ რეჟიმში განხორციელდა მატერიალურტექნიკური ბაზის დათვალიერება. ასევე გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომები და რეცენზიები. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის მიზანი - „სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართვა მსოფლიო დონის თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ ქსელში, ასევე უცხოეთში მყოფი სპეციალისტების (უცხოელი კოლეგების, განსაკუთრებით კი თანამემამულეებისა და, მათ შორის, ჩვენი კურსდამთავრებულების) ლექციებსა და კვლევაში ჩართვა საწყის ეტაპზე ელექტრონული სწავლების გამოყენებით“ წარმოადგენს ზოგად მიზანს და მართებულია უნივერსიტეტში არსებული ყველა სასწავლო პროგრამისთვის, ამიტომ სასურველია, რომ ის ან საერთოდ იყოს ამოღებული ან ცხადად განისაზღვროს, რომელი სასწავლო კურსების შედეგები უზრუნველყოფს დასახულ მიზანს.

2. გაძლიერდეს პროგრამა მოდელირების და მონაცემთა ანალიტიკის საკითხებით საგანი ციფრული სისტემების შემუშავება სასურველია გადავიდეს არჩევით საგნებში ;
3. დაკორექტირდეს საგნის „ალგორითმული თამაშების თეორია -“ სათაური და შეიცვალოს იგი სათაურით - „თამაშების თეორიის ალგორითმები“ .
4. სასწავლო კურს „ბიბლიოთეკა Windows API“ -ში გარდა Windows API-სა განხილული იქნას სხვა ოპერაციული სისტემების გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისები (მაგ: Linux-ის) და კურსს დაერქვას უფრო ზოგადი სხელი.
5. სილაბუსებში ნათლად აისახოს თითოეული ლექცია და შესაბამისი პრაქტიკულის თემატიკა.
6. სასწავლო კურსის „სისტემების დაცვისა და თავდასხმის თანამედროვე მეთოდები“ - შინაარსი დაკორექტირდეს.
7. რიგ სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული ჩანაწერი პროგრამის მიზნებში ჩამოყალიბებულია უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად. ამდენად, ის ერთი შეხედვით, ზოგადი ჩანაწერის შთაბეჭდილებას მართლაც ტოვებს. დაწესებულებას მიაჩნია, რომ ამ ჩანაწერით ხაზგასმულია საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეებისა თუ უცხოელი კოლეგების დისტანციურად ჩართვის აუცილებლობა წინამდებარე პრაქტიკის სხვა პროგრამებში დანერგვის სტიმულირებისა და ჩვენი პროგრამის ამ მიმართულებით კიდევ უფრო განვითარების მიზნით. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულები აქამდეც წარმატებით ერთვებოდნენ უმაღლესი დონის საერთაშორისო საგანმანათლებლო-ტექნიკურ ქსელში და იმედი გვაქვს, რომ ამ მიმართულებით განვითარება და მისი ახალი პროგრამის ერთ-ერთ უპირველეს მიზნად დასახვა, ამ პროცესს კიდევ უფრო განამტკიცებს და განავრცობს. მისი თქმით, ამაში დიდ როლს თამაშობს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსი, განსაკუთრებით კი უცხოეთში მყოფი მოწვეული პედაგოგების მიერ შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსები და პირველ სემესტრში დაშვებული სავალდებულო კურსი „ციფრული სისტემების შემუშავება SystemVerilog ენის გამოყენებით“, სადაც განხილულია ციფრული სისტემების დაპროგრამების ენების ასპექტები, რაც უაღრესად მოთხოვნადია საერთაშორისო ბაზარზე, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, სტუდენტებს ეძლევათ მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამებიდან საგნების არჩევის საშუალება. აღნიშნული თემატიკა უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამაში, რაც მსურველებს ამ საკითხებში ღრმა ცოდნის შეძენის საშუალებას აძლევს. : წარმოდგენილ სასწავლო კურსში განიხილება ციფრული სისტემების შექმნაზე ორიენტირებული დაპროგრამების ენა, რაც მისი თეორიული ასპექტების შესწავლას გულისხმობს პრაქტიკაზე ორიენტირების გზით. აღსანიშნავია, რომ ეს თემატიკა უაღრესად მოთხოვნადია მთელს მსოფლიოში, თუმცა, სამწუხაროდ, მას საქართველოში სათანადო ყურადღება არ ექცევა. მან აღნიშნა, რომ ამ საგნის სავალდებულოდ გავლის შედეგად ბევრი დაინტერესებული სპეციალისტი გაიზრდება და ეს ხარვეზი ჩვენს ქვეყანაშიც მალე აღმოიფხვრება.
მნიშვნელოვანი ასევე მე-3 რეკომენდაცია, კერძოდ, გათვალისწინებული იქნება ექსპერტთა მოსაზრება. თუმცა, მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ჩანაწერი უფრო რჩევის ფორმატისაა, ვიდრე რეკომენდაციის.
რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, ზოგადად პრაქტიკული მეცადინეობების თემები მიყვება სალექციო თემატიკას, შესაბამისად აღარ ჩავთვალეთ საჭიროდ მათი ცალკე გამოტანა, ეს ტექნიკური შენიშვნა გათვალისწინებული იქნება.
მნიშვნელოვანია ასევე მე-7 რეკომენდაცია, : ლიტერატურის შეცვლასთან დაკავშირებით სასურველია სასწავლო კურსისა და ლიტერატურის მითითება (რამოდენიმე კურსში, მაგ.

სირთულის თეორიის დამატებითი თავები, კონკრეტული მათემატიკა, კომპიუტერული ალგებრა და სხვა, განხილულია ფუნდამენტური საკითხები, რომელთა ძირითადი არსი ათწლეულების განმავლობაში არ შეცვლილა და რომლებიც ყველაზე ნათლად და ლაკონურად მითითებულ ლიტერატურაშია გადმოცემული). პროცედურულად ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ლიტეტატურის (რიდერების) განახლება, რაც გამომდინარეობს დარგობრივი სპეციფიკიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა ექსპერტებთან თუ რამდენად წარმოადგენს რეკომენდაციას სათაურის ცვლილება. თუმცა გასაზიარებელია ექსპერტთა რეკომენდაცია სილაბუსის შინაარსის ნათლად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, მისი თქმით აღნიშნული ეხება როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. ასევე, მან აღნიშნა, რომ პროგრამა არის ქართულენოვანი, თუმცა ყველა სილაბუსში ძირითადი ლიტერატურა მოცემულია მხოლოდ ინგლისურად. ქართული სახელმძღვანელოები ძირითად ლიტერატურაში საერთოდ არ გვხვდება. შესაბამისად, ის დაინტერესდა თუ რას გეგმავს აღნიშნულთან დაკავშირებით ინსტიტუცია.

საბჭოს წევრმა დავით კაპანაძემ ,,ციფრული დაგეგმარების“ სასწავლო კურსთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უმჯობესი ხომ არ იქნებოდა მისი რჩევის სახით განსაზღვრა. მისი თქმით, ზოგადად სასწავლო კურსებთან დაკავშირებით გასათვალისიწინებელია დაწესებულების აკადემიური თავისუფლება. რაც შეეხება ლიტერტურის განახლებას, მისი თქმით კარგი იქნება თუ აღნიშნულ საკითხს ექსპერტები უფრო დაგვიკონკრეტებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკითხთან მიმართებიც არსებობს სამი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია, რომ გამოკითხულია მხოლოდ 5 პირი. გარდა ამისა, კითხვარის ფორმა ცალკე არის განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ ჩატარებული გამოკითხვა და კითხვარი ერთმანეთს არ ემთხვევა. თვითონ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი არის მხოლოდ ორგვერდიანი დოკუმენტი. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენად კონსოლიდირებული და საკმარისი იყო აღნიშნული ინფორმაცია იმისთვის, რომ დაწესბულებამ მიიღოს ზუსტი სურათი შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ ზოგადად ალგორითმული თამაშები არ არსებობს, არსებობს თამაშების ალგორითმი, შესაბამისად, სასწავლო კურსის სათაური არასწორად არის ჩამოყალიბებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას შესავალ კურსებში აქვს შეტანილი ლოგიკური სქემების საკითხები. შესაბამისად საბაკალავრო დონეზე სტუდენტი სრულად იძენს საბაზისო ცოდნას, ხოლო შემდგომ ხდება კომპიუტერული არქიტექტურის შესწავლა. აქედან გამომდინარე, სტუდენტები თავისუფლად შეძლებენ კურსის დაძლევას.

რაც შეეხება კურსების დასახელებებს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ქართულ ენაში ტერმინოლოგია არ არსებობს, ან ახლა ყალიბდება. იმ პერიოდში როდესაც პროგრამაზე არ იყო ინგლისური ენის მოთხოვნა, დაწესებულება თავად ადგენდა კონსპექტებს, შესაბამისად დაგროვდა ქართული კონსპექტების საკმაოდ დიდი მასალა. სწორედ აღნიშნულმა საკითხმა განაპირობა ინგლისური ენის მოთხოვნა პროგრამაზე სწავლისთვის. მიუხედავად ქართული კონსპექტების არსებობისა სწავლა პარალელურად ხდება ინგლისური სახელმძღვანელოებით.

მნიშვნელოვანია ასევე ,,ალგორითმული თამაშთა თეორიის“ საკითხი, რომელიც დაფუძნებულია უწყვეტ მოდელებზე. კურსის სახელწოდება შესაძლებელია შეიცვალოს და

მისი თარგმნა მოხდეს ქართულ რეალობასთან შესაბამისობაში. რაც შეეხება ლიტერატურას, ათასწლეულის ფონდის დახმარებით დაწესებულებამ შეიძინა ელექტრონული სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციას აქვს საკმაოდ მჭიდრო კავშირი კუსრდამთავრებულებთან, რომელთა ნაწილი დასაქმებულია როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

საბჭოს სხდომა გადავიდა „კომპიუტერული მეცნიერების“ სადოქტორო პროგრამის განხილვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, წარმოედგინათ მათი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიტერული მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული მხოლოდ ერთი რეკომენდაცია

1. არჩევითი სასწავლო კურსი „SPSS-ის კურსი დოქტორანტებისათვის“ გაძლიერდეს თემატიკით „მონაცემთა ანალიტიკა R-ის ბაზაზე“ ან დაემატოს ეს თემეტიკა არჩევითი კურსის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს: სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს ორი სამეცნიერო–კვლევითი პროექტი და გააკეთოს ორი სამეცნიერო მოხსენება; გამოაქვეყნოს მინიმუმ სამი სამეცნიერო სტატია რეცენზირებულ რეფერირებულ ჟურნალებში, საიდანაც ერთი მაინც არის WEBOFKNOWLEDGE ბაზის მიხედვიტ დადებითი იმპაქტ ფაქტორის მქონე. პროგრამის უმთავრესი კომპონენტი არის ინოვაციური სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც სრულდება გამოცდილი მკვლევარის/მკვლევარების ხელმძღვანელობით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა - სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სულ მცირე სამი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალებში, მათ შორის ერთის მაინც Thomson Reuter-ის მიხედვით დადებითი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა თანმიმდევრულად და სისტემურად ხელს უწყობს დოქტორანტის ჩამოყალიბებას მაღალი დონის მკვლევრად და უზრუნველყოფს მისი პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შედეგებთან.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამის კვლევით კომპონენტს წარმოადგენს ორი სამეცნიერო–კვლევიტი პროექტი და ინოვაციური სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც სრულდება გამოცდილი მკვლევარის/მკვლევარების ხელმძღვანელობით. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში დოქტორანტის უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების წევრები. მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში

რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებსი წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა: „კომპიუტერული მეცნიერების, მათემატიკის, ფიზიკის, ბიზნეს-ადმინისტრირებისა და ეკონომიკის ან საინჟინრო დარგის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი“. გამომდინარე იქიდან, თუ რა ცოდნები შეიძლება გააჩნდეთ დოქტორანტებს სტატისტიკიდან და თუ რა შეხება შეიძლება ჰქონდეს მათ სტატისტიკურ უზრუნველყოფაზე კვლევის პროცესში, სტატისტიკის გაძლიერებული სწავლების მიზნით შევარჩიეთ საუნუვერსიტეტო არჩევითი კურსი „SPSS-ის კურსი დოქტორანტებისათვის“. პროგრამაში ძირთადი ნაკადი მოდის კომპიუტერული მეცნიერებებიდან. კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის გამოყენებითი სტატისტიკის კურსში სტუდენტები სიღრმისეულად გადიან ძირითად მეთოდებს EXCEL-ის ლაბორატორიულით. მათ გავლილი აქვთ ძირითადი მეთოდები და ყველა ფლობს დაპროგრამებას. ასე რომ, მათთვის ნებისმიერი სტატისტიკური პაკეტი ხელმისაწვდიმია 1-2 დღეში სისტემის გაცნობიდან. ასევე ისინი იუმჯობესებენ სტატისტიკურ ცოდნას მაგისტრატურის ზოგიერთი სასწავლო კურსების გავლისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პერიოში. აქედან, კომპიუტერული მეცნიერებებიდან მოსულ დოქტოტნტებს ამ არჩევითი კურსის აღება არ უწევთ. ეს კურსი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სხვა მიმართულებებიდან მოსული დოქტორანტებისთვის. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, R-სტატისტიკური პაკეტის ბაზაზე, ან სხვა კვალიფიციური სტატისტიკური პროგრამული პაკეტის ბაზაზე შექმნილი სასწავლო კურსის პროგრამაში ჩართვის აუცილებლობას ვერ ვხედავთ. გარდა ამისა: 1. ასეთ კურსზე თსუ საუნივერსიტეტო მოთხოვნა არაა აქტუალური და ის საუნივერსიტეტო ვერ გახდება. 2. პროგრამაში სტატისტიკის გაძლიერებული სასწავლო კურსის, როგორც ძირითადი სასწავლო კურსის ჩართვა არაა აქტუალური პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე. 3. სხვა მიმართულებიდან მოსული დოქტორანტებისთვის ასეთი კურსი ვერ გაიხსენება რაოდენობის სიმცირის გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, აღნიშნა, რომ პროგრამის მიხდვით უნდა მოხდეს სამი სტატიის გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რაც ნამდვილად კარგია, თუმცა მსგავს ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება საკმაოდ მაღალი ღირებულებისაა, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ ვინ იხდის მოცემულ ღირებულებას. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა არის თუ არა დისერტაციის ნაწილი გამოქვეყნებული სტატიები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ ისაუბრა პროგრამის დაშვების წინაბირობებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა: კომპიუტერული მეცნიერების, მათემატიკის, ფიზიკის, ბიზნეს-ადმინისტრირებისა და ეკონომიკის ან საინჟინრო დარგის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად შეძლებს საინჟინრო დარგის მაგისტი პროგრამის დაძლევას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მაღალრეიტინგული ჟურნალების უმეტესობა არის უფასო პუბლიკაციის. შესაბამისად უნივერსიტეტის ბიუჯეტით არ არის დაფინანსებული ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება. პროგრამის კვლევით კომპონენტს წარმოადგენს ორი სამეცნიერო–კვლევიტი პროექტი და ინოვაციური სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც სრულდება გამოცდილი მკვლევარის/მკვლევარების ხელმძღვანელობით. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში დოქტორანტის უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სადისერტაციო ნაშრომში ასევე მოცემული უნდა იყოს გამოქვეყნებული ნაშრომებიც.
რაც შეეხება დაშვების წინაპირობებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სხვა დარგების წარმომადგენელს არ უნდა დაეკარგოთ შესაძლებლობა ისწავლონ მოცემულ პროგრამაზე. თუმცა სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ კვლევითი უნარები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:30
დასრულების დრო: 19:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

ა) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა, განახორციელა შემდეგი სახის ცვლილებები, კერძოდ, 4 რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, ხოლო ორ რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. საგანი ციფრული სისტემების შემუშავებარეკომენდირებულია გადავიდეს არჩევით საგნებში;
2. სასწავლო კურს „ბიბლიოთეკა Windows API“ -ში გარდა Windows API-სა განხილული იქნას სხვა ოპერაციული სისტემების გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისები (მაგ: Linux-ის) და კურსს დაერქვას უფრო ზოგადი სხელი
3. სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს საკონტაქტო საათებში შემავალი თემატიკები. აისახოს თითოეული ლექცია და შესაბამისი პრაქტიკულის თემატიკა;
4. სასწავლო კურსის „სისტემების დაცვისა და თავდასხმის თანამედროვე მეთოდები“ - შინაარსი დაკორექტირდეს;
5. დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს და ხანგრძლივობას.

რჩევები:
1. მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის მიზანი - „სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართვა მსოფლიო დონის თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ ქსელში, ასევე უცხოეთში მყოფის პეციალისტების (უცხოელი კოლეგების, განსაკუთრებით კი თანამემამულეებისა და, მათ შორის, ჩვენიკურსდამთავრებულების) ლექციებსა და კვლევაში ჩართვა საწყის ეტაპზე ელექტრონული სწავლების გამოყენებით“ ჩამოყალიბდეს მკაფიოდ და აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში;

2. გაძლიერდეს პროგრამა მოდელირების და მონაცემთა ანალიტიკის საკითხებით ;
3. დაკორექტირდეს საგნის „ალგორითმული თამაშების თეორია -“ სათაური და შეიცვალოს იგი სათაურით - „თამაშების თეორიის ალგორითმები“ ;
4. რიგ სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა
5. პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სამომავლოდ ინტერშიფი გახდეს სავალდებულო;
6. პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრისას მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტებს არჩევით საგნად შეუძლიად ასევე აირჩიონ 10 კრედიტი მომიჯნავე სამაგისტრო სპეციალობებიდან, რაც არ არის ასახული არც პროგრამაში და არც თვითშეფასების ანგარიშში. მათი თქმით მოხდა შეცდომა. ამიტომ სამომავლოდ, როდესაც მოხდება ამ კრედიტების ასახვა პროგრამაში, სასურველია აღნიშნული კრედიტები გაიწეროს ან თავისუფალი კომპონენტების სახით ან არჩევითი კომპონენტების სახით;
7. საგანში „NET პლატფორმის ტექნოლოგიები“ დაემატოს ფრონტენდის დეველოპმენტის საკითხები
8. სასურველია მოხდეს საბიბლიოთეკო სივრცის აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით
9. გაძლიერდეს დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შეფასებასთან მიმართებაში;
10. ხარისხის სამსახურის მხრიდან მოხდეს გამოკითხვის ანალიზის შესახებ უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერება .

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

ბ) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი

არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში.

საბჭომ დაწესებულებას მისცა შემდეგი რჩევები:

1. რადგანაც სწავლის შედეგში ძირითადია სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, ხოლო დაცვას განაპირობებს რეიტინგულ ჟურნალში სამეცნიერეო ნაშრომის გამოქვეყნება და ეს პროცესი შეიძლება დროში გაიწელოს, შეიძლება მიღწეული შედეგები გაუფასურდეს (აქტუალობა დაკარგოს) სხვა მკვლევარების მიერ შედეგის დადებით. ჩვენი აზრით კარგი იქნებოდა თუ ესეთი ვარიანტებიც აღწერილი იქნებოდა შეფასების სისტემაში;
2. არჩევითი სასწავლო კურსი „SPSS-ის კურსი დოქტორანტებისათვის“ გაძლიერდეს თემატიკით „მონაცემთა ანალიტიკა R-ის ბაზაზე“ ან დაემატოს ეს თემეტიკა არჩევითი კურსის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეოთხე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4		

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2016 წლის 18 იანვრის N5 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზირი №76
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადეს ეკა ნაცვლიშვილმა და მაკა კაჭარავამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა მარიამ შენგელია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტი მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში (ზუმის პროგრამით). პირველ შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. მისი თქმით, უსდ-ს ადმინისტრაცია მზადყოფნას გამოთქვამს თავად გამოყოს თანხები პროგრამის განხორციელებისათვის, რადგამ თვლიან, რომ პროგრამას აქვს პოტენციალი და გრძელვადიან პერსპექტივაში ის იქნება წარმატებული ფინანსურადაც. მეორე შეხვედრის დროს აკრედიტაციის ჯგუფი გაესაუბრა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს ინტერვიუების დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეეხნენ ჯგუფის მუშაობის სტილს, კონკრეტული წევრების უფლება-მოვალეობებს პროგრამის თვითშეფასების პროცესზე მუშაობისას. ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტზე, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს ისინი უსდ-ს წარმომადგენლებს.
შპს ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებულ პასუხს და იმსჯელა, რომელი რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო გაზიარებული. რეკომენდაცია, დაკავშირებული ინგლისურ ენასთან, საერთოდ იქნა ამოღებული; რეკომენდაცია, ორი ლექტორიდან ერთი მაინც ყოფილიყო დოქტორანტი, რაც გააძლიერებდა პროგრამას, გადავიდა რჩევაში, ხოლო მე-5რეკომენდაციის გაზიარება მოხდა მხოლოდ ნაწილობრივ (არგუმენტი იხ. 2.3 სტანდარტში). ექსპერტთა ჯგუფმა ერთხმად გადაწყვიტა სხვა რეკომენდაციები დარჩენილიყო ძალაში. რეკომენდაციის გასწვრივ bold შრიფტით ფრჩხილებში განმარტებულია არგაზიარების არგუმენტ(ებ)ი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. კომპლექსური და მძლავრი სტრატეგიის წარმოება პოტენციური სტუდენტების მოსაზიდად (უსდ-ში ვიზიტისას დეკანის არყოფნის მიზეზად დასახელდა მისი და სხვა თანამშრომლების გასვლა რეგიონებში სტუდენტების მოსაზიდად. ჯგუფმა მიიჩნია, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობა ვერ შეძლებდა სიტუაციის გამოსწორებას. დეტალური ჩაძიების შემდეგ, დასახელდა სხვა სამომავლო გეგმები, რომელიც არ იყო კონკრეტული აქტივობების სახით გაწერილი. იმდენად, რამდენადაც პროგრამამ განახლების შემდეგ მიიღო მხოლოდ ცხრა სტუდენტი, აღნიშნული რეკომენდაცია დარჩა ძალაში ვიზიტის პერიოდში არსებული რეალობიდან გამომდინარე);
2. სწავლის აკადემიური შედეგების სემესტრული შეფასების ჩატარება გააიოლებს პრობლემის სწრაფად დადგენას, ზომების მიღებას და მის მოკლე დროში აღმოფხვრას;

ამიტომ რეკომენდებულია 3-წლიანი დაკვირვების დრო შემცირდეს, რაც უფრო გაამარტივებს აღმოჩენილ პრობლემათან გამკლავებას;

მართალია, დოკუმენტებით დასტურდება, რომ შეფასებები ხდება სემესტრულად, ხდება რეაგირებაც, მაგრამ პროცესზე დაკვირვება გრძელდება 3 წელი. ამიტომ რეკომენდაციის მიხედვით, სერიოზული ზომების მისაღებად 3 წელი დიდი დროა; 3 სემესტრიც კი სრულიად საკმარისია, შეფასდეს, რამდენად გამოსწორებადია სიტუაცია. 4-წლიანი საბაკლავრო პროგრამის პირობებში 3 წლის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება, შეიძლება უსაგნოც კი აღმოჩნდეს იმ სტუდენტსათვის, რომელიც დაზარალდა (ესაა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის შემდგომ). უსდ-ს არგუმენტირებული პასუხი აღნიშნულ რეკომენდაციაზე ბუნდოვანი და წიააღმდეგობრივია.

1. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეფასებებით ვერ დგინდება სტუდენტთა გადინების რეალური მიზეზი. რეკომენდებულია სიღრმისეული შესწავლა, თუ რა განაპირობებს სტუდენტთა წასვლას - კურსების სირთულე, ინგლისური ენის მაღალ დონეზე მოთხოვნა, თუ სხვა რამ;

პროგრამა კარგავს სტუდენტებს, მაგ. ერთ წელს 40 სტუდენტიდან დარჩა 20; უსდ-მ გამოაგზავნა გადასული სტუენტების პასუხები კითხვაზე, თუ რატომ გადადიან სხვა უსდ-ში. დომინირებს პასუხი: უნივერსიტეტის არასახარბიელო მდებარეობა (უბანი) და სხვაგან უკეთესი განათლების მიიღების მოლოდინი (საკმაოდ ზერელე პასუხებია); სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ მათ უჭირთ ინგლისურენოვან მასლასთან გამკლავება; ზოგიერეთმა ლექტორმა კი აღნიშნა, რომ მათი პრიორიტეტი არაა ე.წ. დაბალი მოსწრების სტუდენტის შენარჩუნებაზე ზრუნვა. სწორედ იმის გამო, რომ ვერ დგინდება სტუდენტთა გადინების მიზეზი, ამიტომ შევთავაზეთ ზემოაღნიშნული რეკომენდაცია);

1. სტუდენტების დაინტერესება საერთაშორისო პროგრამებით, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მოტივაციის გაძლიერება და სტუდენტების საერთაშორისო მობილობაში ჩართულობის გაზრდა;
2. მოხდეს მთელი რიგი სილაბუსების გადახედვა - სათაურების შეცვლა, ლიტერატურის შეცვლა/დამატება, თემების გადახედვა და გამრავალფეროვნება;
3. ლიტერატურაში რიდერის მითითებისას, მიეთითოს კონკრეტულად რიდერში გამოყენებული ლიტერატურა;
4. გამომდინარე იქიდან, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა ჩადებულია პროგრამაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამას დაემატოს კვლევის მეთოდების საგანი სავალდებულო სტატუსით, რადგან ვერც აკადემიური წერის კურსი, ვერც საბაკალავრო ნაშრომის კურსი სათანადოდ ვერ უმუშავებს სტუდენტს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უნარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია თავისი შინაარსით არ არის შესაბამისაობაში პირველი სტანდარტის 1.1 ქვესტანდარტით შესაფასებელ საკითხებთან. აღნიშნული ქვესტანდარტის ფარგლებში ფასდება პროგრამის მიზნების შესაბამისობა ქვესტანდარტით განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებთან, კერძოდ, ქვესტანდარტი აფასებს თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის მიზნები. შესაბამისად, არ იკვეთება კავშირი ქვესტანდარტსა და წარმოდგენილ რეკომენდაციას შორის. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რეკომენდაცია წარმოადგენს ფაქტობრივ უზუსტობას, რადგან უნივერსიტეტი უწყვეტად ახორციელებს აქტიურ პიარ კამპანიას სტუდენტების

მოსაზიდად. მათ შორის, ადმინისტრაციის წარმომადგენლები ახორციელებენ ვიზიტებს სკოლებში როგორც თბილისში, ისე რეგიონული მასშტაბით. გარდა ამისა, დაწესებულება პოტენციური სტუდენტების მოზიდვის მიზნით გეგმავს არაერთ წამახალისებელ ღონისძიებას. მათ შორის, უსდ-ს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით აბიტურიენტებს, რომლებიც პირველ პრიორიტეტად აირჩევენ ევროპის უნივერსიტეტს, დაწესებულება ყოველწლიურად 1000 ლარით დააფინანსებს, პროგრამის ხანგრძლივობის სრული ვადით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო კამპანიებს და აქტიურად თანამშრომლობს მედიასთან უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის ამაღლების მიზნით. ამასთან, უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ეგიდით ხორციელდება ორი ერასმუს + ჟან მონეს პროექტი, რომლებშიც ბენეფიციარების სახით ჩართულები არიან დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც ზრდის ნდობას ბრენდის მიმართ, ხელს უწყობს პროგრამის პოპულარიზაციას და უზრუნველყოფს მისი აკადემიური პერსონალის კომპეტენციების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას. აქვე აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის საელჩოსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს ესეების კონკურსი „საქართველოს ევროპული მომავალი“, რომელიც, ასევე, ხელს უწყობს აბიტურიენტების დაინტერესებასა და მოზიდვას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის 2021-2023 წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ბრენდის განვითარება, ცნობადობის ამაღლება და მის მიმართ სანდოობის გაზრდა. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად გაწერილია რიგი ღონისძიებები, რომლებსაც დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს. დაწესებულებას აღნიშნული რეკომენდაცია არალეგიტიმურად მიაჩნია და თვლის, რომ არის კანონ საწინააღმდეგო. ამ ეტაპზე დაგეგმილი აქტივობების შედეგების შეფასება შეუძლებელია.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ადგილი აქვს ფაქტობრივ უზუსტობას, რადგან აკადემიური მოსწრების ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ძირითადი სწავლის სფეროს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსში ხორციელდება ყოველსემესტრულად და არა წლიურად როგორც ეს აღნიშნულია ექსპერტთა დასკვნაში. გარდა ამისა, დასკვნის აღწერითი ნაწილიდან იკვეთება, რომ ექსპერტთა მოსაზრებით აკადემიური მოსწრების ანალიზზე დაკვირვების შედეგად რეაგირება (სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით კონკრეტულ სასწავლო კურსში გარკვეული ცვლილებების განხორციელება) მხოლოდ სამწლიანი პერიოდის დაკვირვების შემდგომ ხდება, რაც არ შეესაბამება რეალობას. გვსურს განვმარტოთ აღნიშნული საკითხი მეტი სიცხადისთვის: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საკითხი 3 უნივერსიტეტში რეგულირდება დოკუმენტით „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის თანახმადაც რეაგირების საჭიროება დგება იმ შემთხვევაში თუ 3 წლიანი დაკვირვების შედეგად ერთსა და იმავე სასწავლო კურსში ყოველწლიურად ფიქსირდება დოკუმენტით განსაზღრული საყურადღებო შედეგები. ანალიზის სამი წლის დინამიკაში დაკვირვება და განხილვა გულისხმობს, სემესტრულად განხორციელებული აკადემიური მოსწრების ანალიზის წინა სამი წლის შედეგებთან შედარებას, გაანალიზებას და რეაგირებას ყოველ სემესტრში იმის მიხედვით სამი წლის მანძილზე მუდმივად ფიქსირდებოდა, თუ არა აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული საყურადღებო შემთხვევები თითოეულ სასწავლო კურსში. ანალიზი სამი წლის დინამიკაში არ გულისხმობს მონაცემების სამი წლის მანძილზე დაგროვებას და შემდგომ რეაგირებას, დაკვირვება ხორციელდება ყოველსემესტრულად, უკვე არსებული სამი წლის მონაცემების საფუძველზე, ხოლო ასეთი მონაცემების არ არსებობის შემთხვევაში ანალიზდება არსებული მონაცემები, ხოლო შედეგების საფუძველზე ხდება რეაგირება საჭიროების შემთხვევაში. შესაბამისად, აკადემიური მოსწრების ანალიზი, გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების შესწავლა და საჭიროების მიხედვით რეაგირება ხორციელდება ყოველსემესტრულად.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაცია წარმოადგენს ფაქტობრივ უზუსტობას, რადგან სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები არ ემსახურება სტუდენტთა გადინების მიზეზების

დადგენას. შეფასების აღნიშნული მეთოდების გამოყენების დანიშნულებაა შეფასდეს, თუ რამდენად გადის სასწავლო კურსი და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო კომპონენტითა და საგანმანათლებლო პროგრამით დასახულ სწავლის შედეგებზე, რათა მოხდეს პროგრამის და სასწავლო კურსის ფარგლებში არსებული გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და პროგრამის შესაბამისად დახვეწა სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება სტუდენტთა გადინების მიზეზების კვლევას, აღნიშნული საყურადღებო და მნიშვნელოვანია დაწესებულებისთვის და აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ სხვა გზებით მუდმივად ხდება იმის მოკვლევა, თუ რა განაპირობებს სტუდენტთა გადინებას. უნივერსიტეტი ყოველი მობილობის შემდეგ ახორციელებს მობილობით გადამსვლელი სტუდენტების გამოკითხვას, რომლის მიზანიც, სწორედ, სტუდენტების გადინების მიზეზების კვლევაა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზით გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევები ეგზავნებათ შესაბამის ფაკულტეტებს რეაგირებისათვის. 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელებული აღნიშნული გამოკითხვის შედეგები და ფაკულეტიტის მიერ მომზადებული რეაგირების ანგარიში, მტკიცებულებად დამატებითი დოკუმენტაციის სახით, მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის მსველელობისას და წარმოგიდგენილია განმეორებით.

პრიგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ ერთი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის უფლებით სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან ერთი სემესტრის დასრულების შემდეგ ევროპის უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ვადებში - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, ადგილი აქვს ფაქტობრივ უზუსტობას. "ევროკავშირის ინსტიტუტები" არ გახლავთ საერთაშორისო ეკონომიკის თემატური ბლოკის საგანი. აღნიშნული სასწავლო კურსის ზუსტი სახელწოდებაა "ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა" და მიეკუთვნება საგარეო პოლიტიკის შემსწავლელ სასწავლო კურსებს, როგორც არჩევითი სტატუსის მქონე საგანი, რომლის მიზანიცაა ევროპული პოლიტიკით დაინტერესებულ სტუდენტებს გაუღრმაოს ცოდნა ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარეობს მისი სახელწოდებაც - აღნიშნული კურსი სტუდენტებს სწორედაც რომ შეასწავლის ევროკავშირის ინსტიტუციონალურ არქიტექტურასა და მმართველობით სისტემას. შესაბამისად, ფიზიკურად შეუძლებელია არსებობდეს გადაფარვა ეკონომიკის მიმართულებით პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსებთან, როგორც ამას აღნიშნავენ ექსპერტები. რა თქმა უნდა, ევროკავშირი გახლავთ ეკონომიკური და პოლიტიკური ტიპის ორგანიზაცია, ამიტომ სიტყვა "ეკონომიკა" და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ანალიზი ყველა ევროკავშირთან დაკავშირებულ სასწავლო კურსში იქნება, მაგრამ ეს არცერთ შემთხვევაში არ არის ეკონომიკური ანალიზი. სწორედ ამიტომაა, რომ "ევროკავშირის ინსტიტუტებისა და მმართველობის" კურსს უძღვებიან ევროპისმცოდნეები ისევე, როგორც ყველა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არა ეკონომისტები. სამაგიეროდ, ეკონომიკის დოქტორები ასწავლიან საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებსა და საერთაშორისო პოლიტ-ეკონომიკას, რადგან აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება ითხოვს ეკონომიკის დარგში შესაბამის კომპეტენციებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თემატურ გადაფარვაზე საუბარი ამ კურსებში გახლავთ ფაქტობრივი გარემოებების არასწორი ინტერპრეტაცია და არ შეესაბამება სიმართლეს.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, დასკვნის ტექსტში გაცემულია რეკომენდაცია რიდერებში გამოყენებული ლიტერატურის მითითებასთან დაკავშირებით იმ მიზეზით, რომ ხელმისაწვდომი გახდეს

ინფორმაცია, თუ რიდერების შედგენისას რა წყაროების გამოყენება ხდება. ეს რეკომენდაცია ეფუძნება არასწორ ფაქტს, რომ თითქოს არ არის რიდერების შედგენისას გამოყენებული ლიტერატურა იდენტიფიცირებადი. სინამდვილეში, სასწავლო კურსების ყველა რიდერში მოცემულია ინფორმაცია ლიტერატურაზე, რომლის საფუძველზეც შედგა აღნიშნული საკითხავი მასალა, დეტალური ციტირებებისა და ბიბლიოგრაფიის სახით. ეს რიდერები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე ექსპერტებისთვისაც იყო საშუალება, მათი ინტერესის შემთხვევაში, რომ გასცდნობოდნენ მათ და განესაზღვრათ გამოყენებული წყაროების რელევანტურობა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ხშირად რიდერი გახლვათ ერთი ათეული და მეტი საკითხავის მასალის ნაზავი, დამუშავებული ლექტორის მიერ და შესაბამისად, ბიბლიოგრაფიის ჩაკოპირება სილაბუსებში, როგორც ამას ექსპერტები გვირჩევენ, არამიზნობრივად გადატვირთავს სილაბუსს.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე, სავალდებულო თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, ისწავლება სასწავლო კურსი აკადემიური წერა, რომელიც სტუდენტებს უვითარებს საბაზისო წერის კულტურას, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში გათვალისწინებული ლექცია-სემინარებით სტუდენტი კიდევ უფრო იღრმავებს პროფესიული წერის, კვლევის, ციტირებისა და აკადემიური ნაშრომის შედგენისათვის საჭირო უნარებს. დამატებით სასწავლო გეგმაში შეთავაზებულია სასწავლო კურსი “კვლევითი უნარები”, რომელიც ემსახურება თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების უფრო სიღრმისეულ შესწავლას მათთვის, ვისაც კვლევის მიმართულებით აქვს განსაკუთრებული ინტერესი.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა სამართლის ბლოგთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რეკომენდაციის მიხედვით საუბარია მხოლოდ ერთ სილაბუსზე- ,,დიპლომატიური და საკონსულო სამართალი“. სხვა შემთხვევებში სილაბუსებში მითითებულია მინიმუმ ორი სახელმძღვანელო. ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, მნიშვნელოვანია კანონმდებლობის გარდა ასევე მითითებული იყოს სახელმძღვანელოები. პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებით, აღნიშნული საგანი საერთაშრიოს ურთიერთობების პროგრამაზე არ უნდა ისწავლებოდეს სამართლის პროგრამის იდენტურად. შესაბამისად, სილაბუსებიც სხვაგვარად არის აგებული. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსის დასაფარად საკმარისია ერთი სახელმძღვანელოც. პირვეწყაროსთან მუშოაბა მეტად მარტივი და მნიშვნეოვანია საგნის სრულყოფილად შესასწავლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ წინააღმდეგობრივი მოსაზრებაა ის, რომ საბაკალავრო საფეხური არ საჭიროებს კვლევას და შესაბამისად არ უნდა მოიცავდეს კვლევით კომპონენტს. პროგრამაში გათვალიწინებულია საბაკალავრო სემინარი, რომელიც გარკვეული კუთხით მოიცავს კლვევით საკითხებს, ხოლო არცევით სასწავლო კურსად არ არის მოცემული კვლევის მეთოდები. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა არის თუ არა საკმარისი მხოლოდ საბაკლაავრო სემინარი კვლევითი კომპეტენციების განსავითარებლად.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევამ სრულუად აჩვენა, თუ რატომ არის პროგრამაზე სტუდენტთა ნაკლებობა. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენად ითვალისწინებს დაწესებულება მოცემულ სტატისტიკას. მისი თქმით, მნიშვბელოვანია ასევე, ბიუჯეტის საკითხი, სადაც მოცემულია, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, შესაბამისად ის დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოიცავდას აღნიშნული ხარჯები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ასევე აღნიშნა, რომ ,,სტრატეგიული დაგეგმარების სასწავლო კურსში სტრატეგიული დაგეგმარება შინაარსობრივად გულისხმობს სტრატეგიულ მენეჯმენტს. თუმცა პროგრამის მიხედვით მოცემულია სტრატეგიული დაგეგმარება სამხედრო

სფეროში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება სასწავლო კურსის სახელი და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან. მისი თქმით ასევე, საყურადღებოა ,,მწავნე ეკონომიკის“ სასწავლო კურსი, რომელშიც არ არის მითითებული ძირითადი ლიტერატურა.
საბჭოს წევრი თეონა მატარაძე დაინტერესდა, იყო თუ არა რიდერები მოცემული ელექტრონულ ბაზებში. კვლევით კომპონენტებთან დაკავშირებით კი მან აღნიშნა, რომ, პროგრამაში მოცემულია ,,კვლევითი უნარების“ სასწავლო კურსი, რომელიც ნამდვილად ვერ ფარავს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის საკითხებს. მნიშვნელოვანია ასევე რომ პროგრამის მიხედვით არ არის გათვალისწინებული ქეისური სწავლება, რაც განსაკუთრებით მოცემული სფეროსთვის არის დამახასიათებელი. მისი თქმით, ნაშრომების გადახედვის შედეგად დადგინდა, რომ ჰიპოთეზაში არ არის მოცემული ცვლადები, ასევე ხარვეზია ციტირებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ წერაში მითითება არის აპა სტილზე, საბაკალავრო ნაშრომის არ იძლევა იმის დასტურს, რომ კვევითი მეთოდები ან აკადემიური წერა მართლაც საფუძვლიანად ისწავლება პროგრამის ფარგლებში.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია კვლევითი მეთოდები და ის საკითხები რაც საჭიროა საბაკალავრო ნაშრომის სწავლის შედეგებზე გასასვლელად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. საბაკალავრო ნაშრომი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, კვლევითი კომპონენტის სახით არ ფასდება. სხვა საკითხია თუ რა ცოდნას აძლევს დაწესებულება სტუდენტს, რომ შექმნას სრულყოფილი საბაკალავრო ნაშრომი. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ როგორია დაინტერესება აბიტურიენტების მხრიდან პროგრამისადმი.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძე დაინტერესდა შედეგი საკითხებით: შეეძლოთ თუ არა სტუდენტებს მობილობა, რიდერები ნაბეჭდი სახით არსებობდა თუ ელექტრონულად და ასევე, რეაკრედიტაციის ფარგლებში გატარებული ცვლილებების პროცენტულ მაჩვენებელზე.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განმარტა, რომ როდესაც სასწავლო კურსი მოცემულია არჩევით ბლოკში, უნდა არსებობდეს მისი არჩევის წინაპირობა, რათა სტუდენტმა სრულყოფილად შეძლოს მისი ათვისება. თუ სტუდენტმა არ ისწავლა შესავალი სამართალმცოდნეობაში, ან მინიმუმ რა არის ბრალი, ვერ დაძლევს იგი საერთაშორისო სისხლის სამართალს. შესაბამისად, აუცილებელია მინიმალური საფუძვლების სწავლება, რომ სტუდენტი გაწვდეს იმას, რაც არის შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში. ანა ფირცხალაშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა ,,საერთაშორისო კონსტიტუციური სამართლისა და დემოკრატიის სასწავლო კურსზე“, მისი თქმით, სასწავლო კურსის სათაური და მისი შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვევა. შესაბამისად, უნდა მოხდეს ან სახელის ან შინაარსის ცვლილება. აღსანიშნავია ასევე, რომ სამართალთან დაკავშირებულ საგნებს უნდა კითხულობდნენ აუცილებლად იურისტები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შეხვედრა გაიმართა დამსაქმებლებთან და შესაბამისად პრაქტიკის ანალიზის გარდა მოხდა აღნიშნული შეხვედრის სტატისტიკის გამოყენება.
რაც შეეხება ,,მწვანე ეკონომიკის“ საკითხს, პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას. აღნიშნული სასწავლო კურსი წარმოადგენს სიახლეს, საიდანაც გამომდინარეობს ლიტერატურის ნაკლებობაც.
რაც შეეხება რიდერების საკითხს, ონალინ სწავლების პლატფორმიდან გამომდინარე, არა მხოლოდ რიდერები არის მოცემული ელექტრონულად, არამედ ყველა სახელმძღვანელო რომელიც განთავსებულია ბიბლოთეკაში.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ რიდერები უნდა იყოს სტუდენტებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი და ასევე მასში უნდა მიეთითოს თუ რა ლიტერატურა იქნა გამოყენებული. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მითითებული იყო შემდეგი სახით - ლიტერატურაში რიდერის მითითებისას, მიეთითოს კონკრეტულად რიდერში გამოყენებული ლიტერატურა; ძალიან მარტივია, სილაბუსში

რიდერთან მითითებული ლინკის მეშვეობით მოხდეს რიდერზე გადასვლა; რაც გაადვილებს, როგორც სტუდენტისათვის რიდერზე ხელწვდომას, ისე ექსპერტისათვის ნახოს შეთავაზებული საკითხავი ლიტერატურა ავტორებით და გამოქვეყნების წლებით. იმის მიუხედავად, რომ სილაბუსებში მითითებული იყო რიდერები, არ იყო განსაზღვრული თუ რომელი რიდერებით სწავლობდნენ სტუდენტები.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რიდერის ავტორი არის თავად სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, რომლიეც ამუშავებს და კომპილაციას ახდენს სხვადასხვა სახლმძღვანელოების და ბიბლიოგრაფიების ციტირების წესების დაცვით. ბაზებში მოცემულია როგორც სახელმძღვანელოები, ასევე რიდერებიც.

რაც შეეხება კვლევის უნარებს, პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომისა და სემინარის განსაზღვრა განაპირობა სწორედ კვლევითი უნარების ჩამოყალიბებისა და გაძლიერების მიზეზმა. პროგრამის განახლებამდე განსაზღვრული იყო მხოლოდ აკადემიური წერის საკითხები. ,,კვლევის მეთოდებიც“ მხოლოდ განახლების შემდგომ განისაზღვრა არჩევით სასწავლო კურსად. ინსტიტუცია მიიჩნევს, რომ ის საკითხები რაც საბაკალავრო დონეს შეესაბამება დაკმაყოფილებულია პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაიმარჯვა ერასმუსისა და ჯან მონეს პროექტებში და ასევე აისიემის დაფინანსების ფარგლებში 6 სტუდენტი გაემგზავრება უცხოეთში სასწავლებლად. დაწესებულებას გაფორმებული აქვს 50-მდე მემორანდუმი.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული 4 სავალდებულო სამართლის საგანი, სამართლის სხვა არჩევითი საგნების ათვისებისთვის აძლევს ზოგად საბაზისო ცოდნას. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსები მორგებულია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა რეაკრედიტაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროცესის ფარგლებში არ მომხდარა კვალიფიკაციის ცვლილება. რაც შეეხება პროცედურებს, საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის განახლების პროცესში შევიდა არაერთი ცვლილება, რაც ემსახურებოდა მისი ინტერდისციპლინარული ხასიათის გაძლიერებასა და პრაქტიკული სწავლების კომპონენტის განვითარებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გასული წლის აქტივობები. კერძოდ, პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის გადასახედად და მასში შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 07 თებერვლის №16 ბრძანებით შეიქმნა პროგრამის კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს სხვადასხვა წარმომადგენლები - ეკონომიკა, სამართალი, უსაფრთხოება, ევროპათმდოცნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა. თითოეული მათგანი გარდა პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული ზოგადი კონსულტირებისა, კოორდინირებდა საკუთარი სფეროს მიმართულებით არსებული სასწავლო კურსების დახვეწის პროცესს, სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთან უშუალო თანამშრომლობით. მსგავსმა მიდგომამ, საშუალება მისცა პროგრამის ხელმძღვანელს, რომ მაქსიმალურად დახვეწილიყო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი. სტუდენტებისთვის შემუშავებული იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შესაბამისად მათ თავისუფლად შეძლეს პროგრამის დაძლევა. იყო შემთხვევები, როდესაც სტუდენტებს დასჭირდათ კრედიტების დამატება, თუმცა აღნიშნული დაფინანსებული იყო დაწესებულების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისუაბრა პლაგიატის შემოწმების საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როდესაც ლექტორი წერით დავალებას აძლევს სტუდენტს, სადაც მას ევალება წყაროების მითითება, ასთი წერითი დავალებების Turntin-ში გატარება არის სავალდებულო.

რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელის საკითხს, დაწესებულების მოთხოვნის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იკავებდეს აკადემიურ პოზიციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ საერთაშორისო სამართლის საგნები კონკრეტულად იქნა შერჩეული, რადგან საერთაშორისო სამართალი პროგრამაში

წარმოდგენილი სასწავლო კურსებით არ შემოიფარგლება. ყურადღება ძირითადად გამახვილდა იმ საკითხებსა რაც აუცილებელია იცოდეს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა.
რაც შეეხება ,,საერთაშორისო სისხლის სამართლის" სილაბუსს და მის პრე-რეკვიზიტს, ზოგადი სისხლის სამართლის ცოდნა დაწესებულების აზრით არ არის აუცილებელი და ლოგიკური, რადგან მიუხედავად სახელწოდებაში არსებული გარკვეული გადაფარვისა, საერთაშორისო სისხლის სამართალს არანაირი კავშირი არ გააჩნია სისხლის სამართლის პროცედურებთან.
საბჭოს წევრმა, ან ფირცხალაშვილმა განმარტა, რომ სილაბუსისა და შინაარსის მიხედვით, ,,საერთაშორისო სისხლის სამართალი" წარმოადგენს კლასიკური სისხლის სამართლის სასწავლო კურსს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი მორგებულია საერთაშორისო ურთიერთობებზე და შესაბამისად მის მიზანს არ წარმოადგენს ის, რომ სტუდენტებმა მოახდინონ დანაშაულის კვალიფიკაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:37
დასრულების დრო: 21:42

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მე - 3 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან" განსაზღვრა როგორც „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან". საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/ გადაიტანა რჩევებში/შეუცვალა ფორმულირება.
დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. ჩატარდეს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა და კვლევის ანალიზის შედეგების საფუძველზე შემუშავდეს პროგრამის მდგრადობაზე ორიენტირებული სტრატეგია (სტუდენტთა მოზიდვა, შენარჩუნება)
2. შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რელევანტური კრიტერიუმები
3. დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა სამართლის ბლოკში. კერძოდ, სამართლის ბლოკის სასწავლო კურსებში წინაპირობების პრინციპი.
4. მოხდეს სილაბუსების („საერთაშორისო ურთერთობების შესავალი", „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები", „რუსეთის საგარეო პოლიტიკა", „პოსტ-საბჭოთა პოლიტიკა" „ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოება", „ამერიკის საგარეო პოლტიკა" „პოლიტიკური იდეოლოგიები", „პოლიტიკური სისტემები და რეჟიმები", "პარტიული პოლიტიკა", „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა" და სხვა.) გადახედვა-სათაურების შეცვლა, ლიტერატურის შეცვლა/დამატება, თემების გადახედვა და გამრავალფეროვნება;
5. ლიტერატურაში რიდერის მითითებისას, მიეთითოს კონკრეტულად რიდერში გამოყენებული ლიტერატურა;
6. დაზუსტდეს და დაიხვეწოს საერთაოშირსო კონსტიტუციური სამართლის სასწავლო კურსის სათაური და შინაარსი;
7. დაზუსტდეს სასწავლო კურსის მწვანე ეკონომიკა - სავალდებულო ლიტერატურა;
8. მიზანშეწონილია პროგრამას დაემატოს კვლევის მეთოდების საგანი სავალდებულო სტატუსით.

რჩევები:

1. აკადემიური წერის ფარგლებში APA ან Chikago-ს სტილის შესწავლა;
2. სტუდენტებისათვის აპელაციის პროცედურის დეტალური გაცნობა;
3. მოხდეს სასწავლო პროცესი ელ-ბაზების აქტიური გამოყენება, განსაკუთრებით საბაკალავრო ნაშრომის შექმნისას;
4. სტუდენტთა მოტივირება, რათა სწავლის პროცესში, თუნდაც კონკრეტული კურსის ფარგლებში მცირე კვლევა ჩატარდება, რომლის მიმდინარეობისას მოხდება სტუდენტის მიერ საკონსულტაციო საათების გამოყენება;
5. სასურველია, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და და დამსაქმებლების წარმომადგენელთა ყოფნა კომიტეტში მუდმივი წევრის სტატუსით;
6. კონკრეტულად პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის შექმნა, სადაც ცხადად იქნებოდა გაწერილი რა თანხას იძლევა უსდ და რაში იხარჯება აღნიშნული დახმარება;
7. კარგი იქნებოდა, გამოყენებული ყოფილიყო ის საერთაშორისო კავშირები, რომელის არამხოლოდ უსდ-ს, არამედ თავად პროგრამას აქვს და მომხდარიყო სხვა უცხოელ ექსპერტანაც გარე შეფასება;
8. სასურველი იყო ადგილობრივ დონეზე სხვა უნივერსიტეტებიდანაც ექსპერტების მოწვევა და მათი შეფასების ანალიზი;
9. სასურველია, პროგრამას დაემატოს სავალდებულო ან დარგის სასწავლო კურსების წამკითხავი 2 ლექტორიდან ერთი მაინც დოქტორანტის სტატუსით. აკადემიური საბაკალავრი პროგრამა სთავაზობს სტუდებტს თეორიულ, მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებულ საგნებს, ამიტომ ვთვლით, რომ აკადემიური პერსონალი სასურველია გაძლიერდეს სულ მცირე დოქტორანტებით მაინც
10. სტუდენტების დაინტერესება საერთაშორისო პროგრამებით, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მოტივაციის გაძლიერება და სტუდენტების საერთაშორისო მობილობაში ჩართულობის გაზრდა;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით და 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2, მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53 - ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში

რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის და 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

მეხუთე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 01 სექტემბრის N758831 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300/305
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0141, ჩარგლის ქუჩა N73, სასწავლო კორპუსი N1
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტაციას და ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია დაწესებულების მიერ რეკომენდაციის შესრულების თაობაზე
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

1. რეკომენდებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, გასწორდეს კურსის შინაარსი - არ მოხდეს უკვე გავლილი მასალის ხელმეორედ შესწავლა და შეფასება;
2. გამოცდის შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად - ჩანდეს რომელი კომპეტენციის შეფასება იგეგმება და როგორ იქნება ქულობრივად გადანაწილებული;
3. გაძლიერდეს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. კლინიკური სასწავლო კურსის სილაბუსებში დეტალურად აღიწეროს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ნაწილში, პაციენტებთან მუშაობის დროს. დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, ამ ჩამონათვალში არსებულ თითოეულ მანიპულაციას მიენიჭოს ქულა, რომელსაც სტუდენტი მიიღებს მისი შესრულების შემდეგ. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების შექმნით, ასევე რაიმე სხვა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტისთვის;
4. გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები, განსაკუთებით კლინიკურ და პრე-კლინიკურ სასწავლო კურსებთან მიმართებით;
5. პროგრამის შინაარსი და მისი შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან;
6. საგნებთან მიმართებით მეტი აქცენტი გაკეთდეს სტომატოლოგიისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა ზედმიწევნით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადობა გადაუხადა ექსპერტს და საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა და შესაბამისად გაძლიერებული იქნა პრაქტიკული კომპონენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ელენე ჟურავლიოვამ აღნიშნა, რო დღიურებში გამოყენებულია ობიექტური და სუბიექტური ჩივილი, შესაბამისად სახეზეა ტერმინთა აღრევა, რადგან ჩივილი ყველა შემთხვევაში არის სუბიექტური, შესაბამისად მნიშვნელოვანია ტერმინის ჩანაცვლება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული ხარვეზი იქნება გამოსწორებული.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:54
დასრულების დრო: 21:57

აკრედიტაციისსაბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისკენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დასრულდა 22 : 00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა